community

The New Apostolic Church around the world

04/2023/GE

მიენდეთ სულიწმიდის მადლს

რედაქციისგან
როგორ გვეხმარება ღმერთი

ღვთისმსახურება
ძალით, სიყვარულით და
თავშეკავებით

საეკლესიო მოძღვრება
ქალთა ორდინაცია:
მოძღვრებითი დასკვნები

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 როგორ გვეხმარება ღმერთი

ღვთისმსახურება

4 ძალით, სიყვარულითა და თავშეკავებით

სიახლეები საქართველოდან

10 ღვთისმსახურება თბილისში

საბავშვო კუთხე

12 იესოს ზეცად ამაღლება

14 სტუმრად რუთთან ფრიტაუნში (სიერა ლეონე)

დოქტრინა

16 ქალთა ორდინაცია: მოძღვრებითი დასკვნები

■ თავფურცელის ფოტო: გრანტ პიჩერი
■ უკანა გვერდის ფოტო: სამხრეთ აფრიკის ახსე

როგორ გვეხმარება ღმერთი

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

რთულ დროში გვიწევს ცხოვრება: ყველა მხრიდან ისეთი ამბები მოდის, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რაოდენ ძლიერია ბოროტი. ეს დიდ პრობლემებს გვიქმნის. ამ დროს ღვთისმსახურებაზე წასვლა კარგია, რამეთუ იქ სულიწმიდისგან ვისმენთ, თუ რამდენად უფრო ძლიერია ღმერთი.

დღევანდელი მდგომარეობა ბევრგან, მართლაც, რომ ცუდი და დრამატულია; მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ კაცობრიობის ისტორიაში მუდამ იყო ასეთი პერიოდები. სულიწმიდის ზემოქმედების წყალობით კი მორწმუნე ადამიანები ყოველთვის პოულობდნენ ნუგეშსა და ძალას ბიბლიაში. იმის გაკეთება, რასაც ღმერთი მაშინ აკეთებდა, დღესაც შეუძლია მას სულიწმიდის ზემოქმედების მეშვეობით.

მოდით, ნუ დავივიწყებთ ღმერთის თაყვანისცემას ამ მძიმე დროშიც. არ დაგვავიწყდეს, რომ ის სრულყოფილია ყველაფერში, რასაც აკეთებს და როგორიც არის. მან ჩვენ ამოგვირჩია და თავის გეგმას გააგრძელებს. ის დაგვეხმარება, თუკი ღვთისმოშიშებას, მორჩილებას, თავმდაბლობას, ღვთისადმი ნდობას, მოწიწებას და სიყვარულს შევინარჩუნებთ.

ზოგჯერ თავად ერევა იგი, ხოლო ზოგჯერ სხვა ადამიანების მეშვეობით გვეხმარება. ეს უნდა მივიღოთ. ხამდახან მისი დახმარება კონკრეტულ დავალებაში მდგომარეობს: რაც გაქვს, მოყვასს გაუნაწილე და მე იმაზე მეტს მოგცემ, ვიდრე გაეცი.

გულითადი მოკითხვებით



ჟან-ლუკ შნაიდერი

ძალით, სიყვარულით და თავშეკავებით

ფოტოები: გრანტ პიჩერი, დელმაინე ვერიტი

ტაფელზიგის ეკლესიაში (სამხრ. აფრიკა)
4000-მდე ადგილია

2. ტიმ. 1, 7

„ვინაიდან ღმერთმა მოგვცა ჩვენ არა სიმხდალის სული, არამედ ძალის, სიყვარულისა და თავშეკავების.“

საყვარელო ძმებო და დებო, მართლაც, დიდად სასიხარულოა ორმოცდაათობის, სულთმოფენობის, ამ დიდ და არაჩვეულებრივ წრეში აღნიშვნა. როცა ყველა იმათგანზე ვფიქრობთ, რომლებიც დღეს ჩვენთან არიან დაკავშირებულნი, მადლობლები ვართ მამაზეციერისა, რამეთუ მან ეს კავშირი შესაძლებელი გახადა. დღეს სულიწმიდის გარდამოსვლას ვიხსენებთ და იმას, რასაც ქრისტეს ეკლესიის დაბადების დღეს ვუწოდებთ.

დიდი მადლობა! დიახ, საყვარელო ძმებო და დებო, ახლა მოვისმინეთ, თუ როგორ გადმოგვცემს ბიბლია ორმოცდაათობის მოვლენას; ამ დიდი მოვლენის მნიშვნელობისა და მიზნის გახსენება შეიძლება სასარგებლო იყოს შემდეგში. როგორც

ყოველთვის, ყველაფერი ღვთიური სიყვარულით იწყება. ის ყველაფრის საწყისია. ყოვლისშემძლე ღმერთს უყვარს ადამიანები და ამ სიყვარულით სურს მას, რომ მამა-ღმერთთან, ძე-ღმერთთან და სულიწმიდა-ღმერთთან თანაზიარება გახადოს მათთვის მისაწვდომი. სწორედ ეს არის ღვთიური სიყვარულის მიზანი. მას უნდა, რომ ადამიანს მამასთან, ძესთან და სულიწმიდასთან თანაზიარებამდე მიესვლებოდეს. ძე-ღმერთი მან დედამიწაზე იმ მიზნით მოავლინა, რომ მას ხსნის ჭიშკარი გაეხსნა ადამიანებისათვის, რათა ხსნის, ღმერთთან თანაზიარების შესაძლებლობა მიეცა მათთვის. ეს ჭიშკარი იესო ქრისტემ მის მიერ გაღებული მსხვერპლის მეშვეობით გააღო.

შემდეგ იესო ქრისტე ზეცად ამაღლდა, ხსნის საქმის გასაგრძელებლად კი სულიწმიდის მოვლენა მოხდა ამქვეყნად. სულიწმიდა დღესაც მოქმედებს დედამიწაზე, რამეთუ ადამიანებმა ხსნას მიაღწიონ. სულიწმიდა-ღმერთი იმაზე მუშაობს, რომ განწმიდოს ადამიანები და იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მოამზადოს ისინი. შემდეგ იესო ქრისტე ისევ მოვა, რათა თავისიანები მის სასუფეველში წაიყვანოს, სადაც მათ საუკუნო თანაზიარება ექნებათ ღმერთთან. ეს არის საქმე, რასაც სულიწმიდა დღეს აკეთებს; ეს კი ეკლესიაში ხდება. იქ სულიწმიდა მის მისიას ასრულებს - ძირითადად მოციქულთა მეშვეობით.

ყველაფერი ღვთიური სიყვარულით იწყება.

სულიწმიდა მოციქულობის მეშვეობით განგვწმედს ეკლესიაში და ღმერთთან თანაზიარებაში შესვლისათვის გვამზადებს. პირველი ადამიანი, ვინც ღმერთთან თანაზიარებაში შევიდა, მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტე იყო. და თუ ჩვენც გვსურს ღმერთთან თანაზიარებაში შესვლა, თუ იესო ქრისტესთან საუკუნო თანაზიარება გვსურს, მაშინ მისნაირები უნდა გავხდეთ. ეს ის გზაა, რომელსაც უნდა გავყვეთ. თუ გვსურს, რომ საუკუნოდ ქრისტესთან ვიყოთ, მისნაირები უნდა გავხდეთ, მასავით უნდა ვიფიქროთ, მასავით მოვიქცეთ, ვიყოთ ისეთები, როგორიც ის არის.

ვინ იყო და ვინ არის იესო ქრისტე? იესო ქრისტე არის მოსიყვარულე და მსახური. ის დედამიწაზე იმისათვის მოავლინეს, რომ ღმერთისა და ადამიანებისათვის ემსახურა და გამოსყიდვის ჭიშკარი გაეღო კაცობრიობისათვის. ამის მერე იგი მამასთან დაბრუნდა. და რას აკეთებს იგი ზეცაში? ის აგრძელებს მსახურებას. ის ჩვენი შუამდგომელია. ის გვეხმარება. ის გვემსახურება.

მაშასადამე, იმისათვის, რომ ქრისტესნაირები გავხდეთ - მასავით ვიფიქროთ, მასავით მოვიქცეთ, მისნაირები ვიყოთ -, უნდა გვიყვარდეს და ვიმსახუროთ. სწორედ ამ მიზეზით მოგვიწოდებენ მსახურებისკენ; და არა იმიტომ, რომ ღმერთს სჭირდება ჩვენი დახმარება. ყოვლისშემძლე ღმერთმა ცა და დედამიწა არაფრისგან შექმნა. იმისათვის, რომ თავისი საქმე სრულყოს, მე მას არ ვჭირდები. ჩემს გარეშეც იოლად გავა. საქმე იმაში არ არის, რომ ღმერთს ადამიანების დახმარება სჭირდება, ღმერთს არავინ სჭირდება. მაგრამ მე უნდა ვიმსახურო, რამეთუ იესო ქრისტესნაირი გავხდე; ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში მისვლის ერთადერთი გზა ჩემთვის ეს არის. ჩემი სურვილია, რომ ქრისტესნაირი გავხდე, ე. ი., ვიყო მსახური.

რას ნიშნავს, ვიმსახუროთ იესო ქრისტეს მსგავსად? სხვა ადამიანებს ხსნის პოვნაში უნდა დავეხმაროთ და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ ხსნისა და გამოსყიდვის ღვთიურ გეგმაში. უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ადამიანებს შემდგომშიც მიესვლებოდეთ ხსნასთან, და ეს სახარების უწყებით უნდა გავაკეთოთ. ხალხმა უნდა გაიგოს იესო ქრისტეს შესახებ და ღვთის სასუფეველში მოხვედრის შესაძლებლობის შესახებ.

იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ხსნა ეკლესიაში იყოს მისაწვდომი; მაშასადამე, ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ იმაში, რომ იუწყებოდეს სახარება და ცოდვათა შენდობა, შესაძლებელი იყოს საიდუმლოთა მინიჭება და წმიდათა ერთობის განცდა ეკლესიაში. ეს არის ამის აზრი. ამიტომაც უნდა ვიმსახუროთ. და თუ გვინდა, რომ ერთ დღესაც ქრისტესთან ერთად ვმართოთ, მისნაირები უნდა გავხდეთ, და ისე ვიმსახუროთ, როგორც ის მსახურებდა და მსახურებს.

მომდის ხმები, რომლებიც ამბობენ: „მაგრამ ამასობაში ყველაფერი გართულდა. ადამიანებს ღმერთი აღარ აინტერესებთ, არც რწმენა აინტერესებთ. ღმერთი არ სჭირდებათ, მის გარეშეც იოლად გადიან. დღეს თითქმის შეუძლებელია, იყო იესო ქრისტეს მოწმე. ეკლესიას გადარჩენის შანსი არა აქვს.“ სხვები კი ამბობენ: „ეს კარგია, მაგრამ ჩემს გარეშე. მე ეს არ შემიძლია. არ შემწევს ამის კეთების ძალა. ამისათვის საკმაოდ სუსტი ვარ, საკმაოდ მცირე.“ და არიან კიდევ სხვები, რომლებიც ამბობენ: „იცი, პირადი საქმეებიც ბევრი მაქვს, იმდენი პრობლემა მაქვს მოსაგვარებელი. არ მაქვს იმის ძალა და საშუალება, რომ ვიმსახურო და ეკლესიის ფუნქციონირებას შევუწყო ხელი. არ მაქვს იმის



ნუ გეშინიათ! ეს არის ძალის სული, რომელიც თქვენში მკვიდრობს.

შესაძლებლობა, რომ ჩემი წვლილი შევიტანო სხვა ადამიანთა ხსნაში.“

ახლა კი ჩვენი დღევანდელი ბიბლიური ციტატა. ნუ გეშინიათ! ღმერთს ჩვენთვის სიმხდალის სული არ მოუცია. სულიწმიდის მადლის წყალობით ჩვენ ყველას შეგვწევს იმის უნარი, რომ ვემსახუროთ უფალს და ჩვენზე დაკისრებული დავალება შევასრულოთ. ამ ციტატის თარგმანი სხვადასხვა ენებზე სხვადასხვაგვარად ჟღერს. აქ ნათქვამია, რომ ღმერთმა ჩვენ მოშიშების სული არ მოგვცა. სხვა ენებზე ლაპარაკია გაუბედავობის სულზე, ზოგიერთ ვერსიაში კი - სიმხდალის სულზე. საკმაოდ მკაფიოდ არის გამოხატული, მაგრამ ერთი და იგივეა. სული, რომელიც ღმერთმა გვიბოძა, არც შიშის სულია, არც გაუბედავობის სული და არც სიმხდალის სული. ეს კი შემდეგს ნიშნავს: ნუ გეშინია!

მხდალია ის, ვინც ფარ-ხმალს ყრის ან მხნეობას კარგავს, როგორც კი სირთულეებს აწყდება. ნუ იქნები მხდალი! ნუ დაგაფრთხობს შენი დავალება. გწამდეს სულიწმიდის მადლი. გწამდეს შენი სულიწმიდით აღბეჭდვა. გწამდეს ამის! ღმერთმა იმის უნარი მოგცა, რომ იესო ქრისტეს დაემსგავსო, იმ აზრით, რომ იესო ქრისტესავით იმსახურო და ისე გიყვარდეს, როგორც იესო ქრისტეს უყვარს. ამის უნარს სულიწმიდა გაძლევს.

სულიწმიდა ძალის სულია. სულიწმიდა აღწერილია ასევე როგორც ღვთის ძალა. ეს კი ღმერთის ქმედებას, ღვთის საქმეებს ნიშნავს. ღმერთი თავის ძლიერებას, თავის ძალას სულიწმიდის მეშვეობით გამოხატავს. გახსოვდეთ: ეკლესია ადამიანური საქმე არ არის. ის რომ ადამიანური საქმე იყოს, უკვე აღარ იარსებებდა. ჩვენ ვიცნობთ ადამიანებს და ვიცით, თუ რისი უნარი შესწევთ მათ და, რაც მთავარია, რა არ ძალუძთ. ეკლესია აღარ იარსებებდა, ის რომ ადამიანური საქმე ყოფილიყო. მაგრამ ის სულიწმიდის საქმეა, სულიწმიდა კი ღვთის ძალაა. ვერაფერი დააბრკოლებს სულიწმიდას მისი მისიის შესრულებაში. ეკლესია სძლევს სიკვდილს. ვერავინ შეუშლის ხელს სულიწმიდას იმაში, რომ შეასრულოს მისი მისია ეკლესიაში.

ჩვენც ისევე მივიღეთ სულიწმიდის მადლი, როგორც კაცმა-იესო ქრისტემ მიიღო იგი. სულიწმიდა მასთან იყო; და ნათქვამია, რომ სულიწმიდამ იესოს ბოროტის დაძლევისა და მკვდრეთით აღდგომის უნარი მიანიჭა. პავლე ამბობს, რომ, თუ ეს სული ჩვენს გულებში დაივანებს, ჩვენ იმის გაკეთებას შევძლებთ, რაც ადამიანისათვის შეუძლებელი ჩანს, ვინაიდან ის იგივე ძალაა. თუ სული, რომელმაც იესოს ბოროტის დაძლევისა და მკვდრეთით აღდგომის უნარი მიანიჭა, შენში იცოცხლებს, იმის გაკეთებას შეძლებ, რასაც იესო მოელის შენგან. უბრალოდ ირწმუნე. ეს შენს უნარებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ შენს მზადყოფნაზე. თუ გწამს, შეძლებ კიდეც. ნუ გეშინია! შრომა, რომელიც სულიწმიდით სრულდება, არასოდეს იქნება ამაო. შეიძლება ისევ გავიმეორო? შრომა, რომელიც სულიწმიდით სრულდება, არასოდეს იქნება ამაო. ნუ გეშინიათ! ეს ღვთის ძალაა, რომელიც თქვენში მკვიდრობს.

სამხ. ეკლესიის მუსიკალური განყოფილების გუნდმა, ბავშვთა გუნდმა და ორკესტრმა ჯონ როდრიგესის სიმღერით „სულით განახლებული“ პუბლიკა აღაფრთოვანა

ის სიყვარულის სულიც არის. ვიცი, როცა სიყვარულზე ვალაპარაკობთ, გაუგებრობას აქვს ადგილი, ვინაიდან ამ დროს კაცსა და ქალს შორის სიყვარულს, მშობლებსა და შვილებს შორის სიყვარულს ვვგულისხმობთ. მაგრამ მთლად ასე არ არის. ღვთიური სიყვარული ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ ემოციები და გრძნობები. ღვთიური სიყვარული ძლევამოსილი აღთქმაა.

ღმერთს უყვარს ადამიანი და ის ყველაფერს აკეთებს, რომ გადაარჩინოს იგი და თავისთან თანაზიარებაში შეიყვანოს. ღვთიური სიყვარული ძლიერი აღთქმაა. ღვთიური სიყვარული თავგანწირული სიყვარულია, თავგანწირული ენერგია. ასეთია ღვთიური სიყვარული, გაცილებით მეტი, ვიდრე მხოლოდ გრძნობა და ემოციებია.

პავლე ამბობს, რომ სწორედ ეს სიყვარული ჩაგვესახა გულებში, როცა სულიწმიდით აღბეჭდვის საიდუმლო მოგვენიჭა. მე მომწონს ეს გამოთქმა: „ჩაისახა“ (ჩაიღვარა). ღვთიური სიყვარული ჩაგვესახა გულში. მისგან მარტო რამოდენიმე წვეთი როდი ჩგვეღვარა. არა, ღვთიური სიყვარული ჩვენში იმიტომ ჩაისახა, რომ მთელი ჩვენი არსება, მთელი ჩვენი გული და მთელი ჩვენი სული აივსოს მისით. ღმერთმა იმის მაქსიმუმი მოგვცა, რისი მიღებაც ადამიანს შეუძლია.

ღვთიური სიყვარული სულიწმიდის მიერ ჩაგვესახა გულში. თუ ეს კარგად გვაქვს გაცნობიერებული და თუ გვწამს ამის, მაშინ ჩვენი რეაქცია ამაზე სრულიად ნათელია. მაშინ ღმერთის მადლობლები ვართ; ჩვენ გვიყვარს ის, ვინაიდან ასეთი კეთილი და მოწყალეა იგი. მისი სიყვარული ჩვენდამი იმდენად დიდია, რომ სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ ვუპასუხოთ მის სიყვარულს.

ყველაფერს, რასაც ღვთისათვის ვაკეთებთ, მადლიერებით ვაკეთებთ. ეს კი გვაძლიერებს. ჩვენ იმიტომ არ ვმსახურებთ, რომ ვინმე გვაიძულებს, არამედ სიყვარულისა და მადლიერების გამო ვმსახურებთ.

თუ ამგვარი მოტივაციით ვიმსახურებთ, მაშინ ჩვენი მსახურება აღარ იქნება ადამიანთა ქცევაზე დამოკიდებული, აღარც მათ მადლიერებაზე. ჩვენ არ ვართ დამოკიდებულნი შრომით მიღებულ წარმატებაზე. არც იმ სახელ-დიდებაზე ვართ დამოკიდებულნი, რასაც ამის გამო ვიღებთ ან არ ვიღებთ. ჩვენი მსახურება ნამდვილად ურყევი იქნება, ვინაიდან ამის მოტივაცია მხოლოდ ჩვენი მადლიერებაა. რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა გააკეთონ ადამიანებმა - გადაგვიხდიან მადლობას თუ არა, გაგვაკრიტიკებენ თუ არა, წარმატებულნი ვიქნებით თუ არა -, ამას უკვე აღარანაირი მნიშვნელობა არ ექნება. ჩვენ ამას უფლისათვის ვაკეთებთ, სიყვარულიდან და მადლიერებიდან გამომდინარე. ეს კი გვაძლიერებს და მსახურების უნარს გვაძლევს ნებისმიერ გარემოებაში.

ჩვენ ისე ვმსახურებთ და ისე გვიყვარს, როგორც ამას იესო ჩვენგან მოელის. ჩვენც გვინდა, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ სხვა ადამიანების ხსნაში. გვსურს, სხვებმაც იგივე წყალობა, იგივე მადლი მიიღონ და ღმერთთან თანაზიარებაში შესვლაც ისევე შეძლონ, როგორც ჩვენ შეგვიძლია ეს. ამისათვის ვემსახურებით უფალს ეკლესიაში და, მოდით, იმაზე ვიზრუნოთ, რომ ყოველი მორწმუნისათვის, ვისაც უფალთან მისვლა უნდა, ხსნა იყოს მისაწვდომი. ჩვენ არ გვევალება, იძულებით მივიყვანოთ ადამიანები იესოსთან; მაგრამ ჩვენი ამოცანა იმაზე ზრუნვაა, რომ ყველამ, ვინც გადაწყვეტილება მიიღო, იესოსთან მისვლა

ორმოცდაათობისადმი მიძღვნილ ღვთისმსახურებას სამხ. მოციქულები და მოციქულთა დიდი რაოდენობა დაესწრო

შეძლოს, შეძლოს ღვთისმსახურებაზე დასწრება, მოისმინოს სახარების უწყება და ცოდვათა შენდობის განცდა შეძლოს, შეძლოს საიდუმლოთა მიღება, განიცადოს ღვთის შვილთა თანაზიარება და ღმერთის სუფევა მათ შორის.

ძმებო და დებო, ჩვენი უდიდესი მოტივაცია ის არის, რომ ვიმსახუროთ ქრისტეს ეკლესიაში, ყველამ ჩვენ ჩვენს ადგილას. უფალს ვემსახურებით, რამეთუ მადლობა გადავუხადოთ მას, ჩვენი სიყვარული და მადლიერება გამოვხატოთ. უფალს ვემსახურებით, რადგან გვიყვარს მოყვასი, ხოლო ჩვენი ამოცანა იმაზე ზრუნვაში მდგომარეობს, რომ ხსნა ეკლესიაში იყოს მისაწვდომი. სიყვარულის სული.

მესამე თვისება სულისა, რაც აქ წერია, არის თავშეკავება. სხვა თარგმნებში ლაპარაკია სიბრძნის სულზე ან - ეს კი მომწონს - თვითკონტროლის სულზე; თუმცა მნიშვნელობა თითქმის იგივეა. თავშეკავება, თვითკონტროლი, სიბრძნე. სულიწმიდა თავშეკავების სულია. ის გვახსენებს: „ნუ დარდობ, შენ ხომ მხოლოდ ინსტრუმენტი ხარ. სინამდვილეში სამუშაოს ღმერთი ასრულებს. შენ მხოლოდ მსახური ხარ.“ მაგრამ არც ისეა საქმე, რომ ღმერთი ჩვენს დახმარებაზე იყოს დამოკიდებული. უფალს იმიტომ ვემსახურებით, რომ მისნაირები გვინდა გავხდეთ. თუ ყურს დავუგდებთ სულიწმიდას, თავშეკავებულები ვიქნებით და საკუთარ თავს არც თუ ისე დიდ მნიშვნელობას მივანიჭებთ.

ეს ყველა ჩვენთაგანს ეხება: პირველმოციქულს, სამხ. მოციქულს, ძმას, დას, ბავშვს, ახალგაზრდებს.

თავშეკავება. ლაპარაკია არა ჩემზე, არამედ ღმერთზე. მე მხოლოდ მსახური ვარ. უკვე წლებია ვქადაგებთ, მაგრამ ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხები, ნამდვილად გავიგე თუ არა. ნამდვილად მწამს? თავშეკავება. ღმერთია ის, ვინც საქმეს აკეთებს. ჩვენ მხოლოდ მისი ინსტრუმენტები ვართ.

თვითკონტროლის სული. რას ნიშნავს ეს? ამის ახსნა მარტივია. სულიწმიდა გვეუბნება: „გახსოვდეს, ისე მოექეცი მოყვასს, როგორც შენ გინდა რომ მოგექცნენ.“ ახალი აქ არაფერია, მაგრამ დავფიქრდეთ იმაზე, ნამდვილად ცოცხლობს თუ არა ეს აზრი ჩემს გულში. თუ ეს ასეა, მაშინ საკმარისად გვაქვს თვითკონტროლის შეგრძნება; თვითკონტროლის სული კი ასე უფრო დაგვეხმარება.

სიბრძნის სული. სულიწმიდა სულთა გარჩევის შესაძლებლობასაც გვაძლევს; ისევე, როგორც იესოს შემთხვევაში, როცა მას ეშმაკი სცდიდა. მივიდა მასთანეშმაკიდამისიცდუნებასურდა.ეშმაკმაწმიდა წერილის ციტირებაც კი მოახდინა. წარმოიდგინეთ! ეშმაკს წერილის საკუთარი ინტერპრეტაცია გააჩნია; და, აი, ამგვარი განმარტებებით მივიდა იგი იესოსთან. მაგრამ სულიწმიდის დახმარებით იესო მიხვდა, რომ ეს არ იყო მამის ნება. მან ის მოტივაციაც ამოიცნო, რომელიც ეშმაკის ქმედებაში იმალებოდა. მართალია, ეშმაკი წმიდა წერილს ციტირებდა, მაგრამ მისი მოტივები არ იყო კარგი.

ეს ჩვენც გვეხება, საყვარელო ძმებო და დებო. ჩვენ სულიწმიდის მადლი მივიღეთ. სულიწმიდა ჩვენს გულში ცხოვრობს და ქადაგების მეშვეობით გვმოძღვრავს ღვთისმსახურებაზე. მოდით, სულთა გასარჩევად გამოვიყენოთ იგი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ წმიდა წერილს ციტირებენ ისინი. თუ სულიწმიდისგან რაღაც მოდის, მაშინ ამ აზრს ან საქმეს სიყვარული, მშვიდობა და სიხარული,

სიკეთე და თვითკონტროლი მოსდევს. ეს არის პავლეს განმარტება. რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა ითქვას ან გამოქვეყნდეს, გთხოვთ, შეამოწმოთ! თუ ეს სულიწმიდისგან მოდის, მისი შედეგი მშვიდობა, სიყვარული, სიხარული, სიკეთე და თვითკონტროლი იქნება. ამ ინსტრუმენტით იოლია სულთა ამოცნობა - ძალის, სიყვარულის, თავშეკავების, სიბრძნის და თვითკონტროლის სულის.

საყვარელო ძმებო და დებო, მოკლედ რომ შევაჯამო: ჩვენი მიზანი იესო ქრისტესთან საუკუნო თანაზიარებაა. ამისათვის კი იესო ქრისტესნაირები უნდა გავხდეთ. ის მოსიყვარულე და მსახურია. მივიღეთ რა სულიწმიდის მადლი, შეგვიძლია ვემსახუროთ უფალს, ვემსახუროთ ღმერთს და ეკლესიაშიც ვიმსახუროთ ძალის, სიყვარულისა და სიბრძნის სულით. ღმერთს უნდა, რომ იესოსნაირები გავხდეთ, ამის მიღწევა კი მისი დახმარებით შეგვიძლია. მხოლოდ ეს არის საკითხავი: გსურს კი ეს შენ?

ქადაგების შემდეგ პირველმოციქულმა თქვა: „როგორც შესავალში ვთქვი, ორმოცდაათობაზე სულიწმიდის მოვლინებასა და მოღვაწეობაზე დავფიქრდეთ და იმ მნიშვნელობაზე, რაც ამის უკან დგას. სულიწმიდა ღვთიურ სიყვარულს, იესო ქრისტეს სიყვარულს გვიცხადებს. ის გვასწავლის, თუ რაოდენ დიდია იესო, თუ რაოდენ დიდია მისი სიყვარული, და გვიღვიძებს იმის სურვილს, რომ სულ უფრო მეტად დავემსგავსოთ მას.

ის იმასაც გვასწავლის, თუ რა მოსწონს ღმერთს და რა ეწინააღმდეგება მის ნებას, და მერე ვამჩნევთ, თუ რამდენად შორს ვართ იმისგან, რომ ვიყოთ ისეთები, როგორიც იესოა. ხანდახან სასოწარკვეთილებაში ვვარდებით და ვამბობთ, რომ ამას უბრალოდ ვერ შევძლებთ. ვერ შევძლებთ, გავხდეთ ისეთები, როგორიც იესოა, გვიყვარდეს ისე, როგორც მას უყვარს, ვიმსახუროთ ისე, როგორც ის მსახურებს. ამ დროს მოდის ნუგეშისმცემელი, სულიწმიდა, და გვეუბნება: „ნუ გეშინიათ. არ არის აუცილებელი, გახდეთ უცოდველები. ამას ვერც შეძლებთ. იესო ქრისტე იყო ერთადერთი, რომელსაც არც ერთი ცოდვა არ ჩაუდენია. ყველაფერი, რაც შენი გასაკეთებელია, ეს ქრისტეს სიყვარულში ზრდაა.“ სულიწმიდა ჩვენი შემწეა. ის სწორად ლოცვაში და იმის თხოვნაში გვეხმარება, რასაც ჩვენი გადარჩენისათვის აქვს აზრი. სულიწმიდა გვეუბნება: „ნუ ილოცებ იმისათვის, რომ სრულყოფილი გახდე. ეს არ გამოვა. ილოცე, რომ ღმერთისა და მოყვასის სიყვარულში იზარდო.“

ამ კვირაში ერთ-ერთ ჩვენს საგალობელზე ვფიქრობდი და მივხვდი, რომ ის შესანიშნავია, სულიწმიდის მიერ შთაგონებილი ლოცვაა: „უფრო მეტად მინდა მიყვარდე.“ ეს საგალობელი თითქმის ყველა ენაზეა. ნება მომეცით, მხოლოდ ერთი სტროფი წაგიკითხოთ: „უფრო მეტად მინდა მიყვარდე, ისმინე ჩემი ლოცვა! მხურვალედ გევედრები, ვიძახი დილით და საღამოს: უფრო მეტად მინდა მიყვარდე, უფრო მეტად მიყვარდე, მაცხოვარო, უფრო მეტად მიყვარდე, უფრო მეტად მიყვარდე.“ სულიწმიდის მიერ შთაგონებული რა მშვენიერი ლოცვაა. მინდა შემოგთავაზოთ, რომ თუნდაც ერთი წუთით სულიწმიდას ჩვენი შთაგონების საშუალება მივცეთ, იმის საშუალება, რომ ეს ლოცვა ღრმად ჩაგვინერგოს სულსა და გულში.

ძირითადი აზრები

- ჩვენ გვწამს ჩვენი სულიწმიდით აღბეჭდვისა.
- ღმერთმა მისი სულის ძალა ჩადო ჩვენში.
- არ გვეშინია, სულიწმიდა გვაძლიერებს და სიყვარულის უნარს გვაძლევს.
- სულიწმიდის წყალობით თვითკონტროლს ვსწავლობთ.

სიახლეები საქართველოდან

23 აგვისტოს, ოთხშაბათს, საქართველოს მოციქული ვოლფგანგ შუგი ესტუმრა, მას თან ახლდა სამხ. ხუცესი იურგენ ფოლმანი.

მღვდელმსახურები საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან

სამი ერთმორწმუნე სომეხი დის დიაკვნად კურთხევა

სამხ. ხუცეს იურგენ ფოლმანისათვის ეს ბოლო მისია იყო საქართველოში, ვინაიდან იგი პენსიაში გავიდა და ამით დაასრულა აქტიური სასულიერო მოღვაწეობა. 12 წლის განმავლობაში იგი მთელი სულითა და გულით ემსახურებოდა ღვთის საქმეს და ქართველ ერთმორწმუნე და-ძმებს. მან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ჩვენი ქვეყნის ღვთის შვილებში და ხელი შეუწყო ღვთის საქმის გაგრძელებას საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც ახალსამოციქულო თემები არსებობს.

იმავე დღეს, საღამოს, მოციქულმა ქართველი და-ძმებისათვის იმსახურა. ღვთისმსახურებას, რომელსაც 33 მორწმუნე დაესწრო, საფუძვლად დაუდო ციტატა ებრაელთა მიმართ ეპისტოლედან 12, 1: „ამიტომ ჩვენც, როცა ირგვლივ მოწმეთა ღრუბელი გვაქვს, ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და დამაბრკოლებელი ცოდვა, და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი.“ მოციქულმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „მოწმეთა ღრუბელი“ ყველა იმ მორწმუნე მღვდელმსახურს გულისხმობს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ღვთის საქმეში, მათ შორის არიან ჩვენთვის ნაცნობი ადამიანებიც, რომლებიც

სამხ. ხუცესი პენსიაში იურგენ ფოლმანი
მოციქული ავლაბრის თემის წევრებთან ერთად

ახლახანს გადავიდნენ იმქვეყნად. ჩვენ მათ მაგალითს უნდა მივბაძოთ. ისინი ინსტრუმენტები იყვნენ ღვთის ხელში და ღვთის ნებას ასრულებდნენ მათ ხელთ არსებული სამი იარაღით - ეს არის სიყვარულის, ლოცვისა და მომავლის სიხარულის იარაღი. ეს უნდა იყოს ჩვენი წარმმართველი ძალა ღვთის საქმის გასაგრძელებლად.

25 აგვისტოს, პარასკევს, საქართველოში სომხეთისა და აზერბაიჯანის მღვდელმსახურები ჩამოვიდნენ სემინარზე და ღვთისმსახურებაზე დასასწრებად, რომელიც სპეციალურად მღვდელმსახურთათვის ჩატარდა.

სემინარის თემას ქალთა ორდინაცია წარმოადგენდა. მოყვანილ იქნა არგუმენტები ბიბლიიდან და მოციქულთა წერილებიდან, სადაც არ არის ხაზგასმული, რომ სასულიერო თანამდებობის შესრულება ქალებისათვის აკრძალულია, პირიქით, იესოს მოღვაწეობის პერიოდში ქალები საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობდნენ ღვთის საქმეში - როგორც სულიერი კუთხით, ასევე მატერიალური კუთხით.

სემინარის შემდეგ ჩატარდა ღვთისმსახურება, რომელსაც 22 მღვდელმსახური დაესწრო და რომელიც მოციქულმა ფსალმუნებიდან აღებული ციტატით დაიწყო (122, 1): „შენსკენ აღვაპყარ ჩემი თვალები, ზეცაში დამკვიდრებულო, აჰა, ვითარცა მონათა თვალნი ბატონთა ხელისაკენ, ვითარცა თვალნი მხევლისა ქალბატონის ხელისაკენ, ისევე ჩვენი თვალები მიქცეულია უფალი ღმერთისაკენ.“ ეს ღვთისმსახურება იმითაც გამოირჩეოდა, რომ მოციქულმა სამი სომეხი ერთმორწმუნე და დიაკვნად აკურთხა, რომლებიც სომეხი დამბებისთვის შეასრულებენ დიაკვნის სასულიერო მოვალეობას. ღვთისმსახურების შემდეგ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მღვდელმსახურები მოციქულმა ვახშამზე მიიწვია, სადაც მეგობრული და სასიამოვნო ატმოსფერო სუფევდა.

მეორე დღეს მოციქული ვოლფგანგ შუგი და სამხ. ხუცესი იურგენ ფოლმანი აზერბაიჯანელ მღვდელმსახურებთან ერთად ბაქოში გაემგზავრნენ.

იესოს ზეცად ამაღლება

საქმე 1, 4-12-ის მიხედვით

აღდგომის შემდეგ იესო მოციქულებს ეჩვენა. ზეცად ამაღლებამდე იგი ორმოცი დღის განმავლობაში ღვთის სასუფევლის შესახებ უყვებოდა მათ.

იესომ მოციქულებს უბრძანა, რომ არ დაეტოვებინათ იერუსალიმი. მათ უნდა დაეცადათ, ვიდრე ღვთის სული მოწაფეებთან მივიდოდა. იესომ თქვა: „იოანე ხალხს წყლით ნათლავდა. მაგრამ ეს დიდხანს აღარ გაგრძელდება და თქვენ სულიწმიდით მოინათლებით.“
ყველა ერთად ბეთანიაში წავიდა და ზეთისხილის მთაზე ავიდნენ.
მოციქულებმა ჰკითხეს იესოს: „უფალო, ღვთის სასუფეველს



ხომ არ აღმართავ ახლა იერუსალიმისათვის?“ მან კი მიუგო: „სულაც არ არის აუცილებელი, იცოდეთ, თუ როდის მოხდება ეს. დროს მხოლოდ მამაზეციერი განსაზღვრავს. მაგრამ ‘გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და ქვეყნის კიდემდე“.
ამის თქმა იყო და ამაღლდა იგი. ღრუბელმა აიტაცა იგი და მოციქულებმა თვალი ვეღარ მოჰკრეს მას. როცა უყურებდნენ მას, უეცრად მათ გვერდით მდგომი ორი კაცი დაინახეს თეთრი სამოსით, რომლებამაც უთხრეს: „რას დგახართ და შეჰყურებთ ზეცას? ეს იესო, რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეცად, კვლავ მოვა ისევე, როგორც ზეცად აღმავალი იხილეთ.“ ამის შემდეგ მოციქულები იერუსალიმში დაბრუნდნენ და სულის მოლოდინში იყვნენ.



წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 05, 2023 წ; ილუსტრაციები: მარელა ფორტუნატო

სტუმრად რუთთან ფრიტაუნში (სიერა ლეონე)

მე მქვია რუთი და ივლისში თორმეტი წლის გავხდები. აქ ის მაისური მაცვია, რომლითაც სიერა ლეონეს ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებს ვგულშემატკივრობდი აფრიკის ერთა თასზე.

სკოლაში შემდეგი საგნები მიყვარს: რელიგია, ფრანგული და ინგლისური. მომავალში მონაცემთა ანალიტიკოსი მინდა გავხდე, მაგრამ მათემათიკა მიჭირს. ეს ჩემი კლასია. მე პირველ რიგში ვზივარ და მარცხნიდან მეორე ვარ.

მიყვარს მეგობრებთან თამაში, განსაკუთრებით სანაპიროზე. აქ მე დაბადების დღეზე მივდივარ.

ჩემი ოჯახი: მამაჩემი მთარგმნელად მუშაობს. ის სიერა ლეონეს დასავლეთიდან არის. დედაჩემი გვინეადან არის. ის ეკონომისტია. ჩემს უმცროს ძმას მორი ჰქვია, ის ორი წლისაა.

სიერა ლეონეს არაჩვეულებრივი პლიაჟები აქვს. ქვეყნის დედაქალაქი ფრიტაუნი ატლანტიკის ოკეანესთან მდებარეობს. მამაჩემი ჩვენი თემის ლამლის წინამძღვარია, ჩვენ ეკლესიის ტერიტორიაზე ვცხოვრობთ. ამიტომაც ხშირად ეკლესიასთან მდებარე პლიაჟზე დავადივართ.

ჩემი საყვარელი საჭმელი სანაპიროზე არის მანიოკი ოკრათი, რესტორანში შემწვარი ბრინჯი ქათმის ხორცით და ბოსტნეულით ან პიცა.

ვინაიდან აქ წვიმიანი და მშრალი სეზონები გვაქვს, წელიწადის ნებისმიერ დროს ვერ მივდივართ ზღვაზე. წვიმიანი პერიოდი მაისიდან ოქტომბრამდე გრძელდება, ყველაზე ძლიერ აგვისტოსა და სექტემბერში წვიმს. ხანდახან მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ წვიმს, რაც ძალიან არ მომწონს.

ეს ფოტო ეკლესიის კურთხევის დროს არის გადაღებული.

აქ კი ჩვენი თემის და-ძმების ნაწილს ხედავთ. მე საკვირაო სკოლაში დავდივარ და საკონფირმაციო გაკვეთილებისათვის ვემზადები.

მიყვარს მუსიკა. ვუკრავ სეგულაზე, ის სიერა ლეონეს ტიპიური ინსტრუმენტია. დოლზე დაკვრაც შემიძლია, რომელიც ჩემს გვერდით არის. გარდა ამისა, პიანინოზე დაკვრასაც ვსწავლობ და გუნდში ვმღერი.

16 ივნისს აფრიკელ ბავშვთა დღეს აღვნიშნავთ. ამ დროს ფრიტაუნის ცენტრალურ ეკლესიაში სხვადასხვა თემის ბავშვები ვიკრიბებით საბავშვო ღვთისმსახურებაზე. ამ სურათზე ჩვენი თემის ბავშვები ჩანან; მე უკან ვდგავარ, მარჯვნიდან მეორე.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, 2023 წლის 5-ე გამოცემა; ფოტოები: პირადი; stock.adobe.com: robertonencini, Michael, Marina Zlochin

ფოტო: sticker2you - stock.adobe.com

ქალთა ორდინაცია: მოძღვრებითი დასკვნები

თანასწორობა და თანასწორი ღირსება ღმერთის, შემოქმედის, წინაშე, არანაირი გამონათქვამები იესო ქრისტესგან და წინააღმდეგობანი მოციქულთა წერილებში: ასე ჟღერს ბიბლიური მონაცემების ანალიზის შედეგი: რა მოძღვრებით დასკვნებს აკეთებს აქედან ახალსამოციქულო ეკლესია? – „ქალთა ორდინაციის“ შესახებ მოძღვრებითი წერილის მეოთხე და ბოლო ნაწილი.

სტატიაში „სასულიერო თანამდებობის ახალსამოციქულო გაგება° კატეხიზმოსთან დაკავშირებული 7. კომენტარი“ ასეა განმარტებული: „მსახურება, რომელიც თვითეულ ქრისტიანს ეკისრება და ორდინაციის გარეშე სრულდება, აშკარად სამღვდელო ასპექტს შეიცავს. 1.პეტ. 2, 9-ში თემის წევრებს 'სამეფო სამღვდელოებასაც' უწოდებენ. მორწმუნენი, რომლებიც წყლით ნათლობისას ქრისტესთან ერთად დაიმარხნენ და მასთან ერთად აღდგნენ, გაჰყვებიან მას და უფლად აღიარებენ და მორწმუნეთა საყოველთაო სამღვდელოების მოზიარენი გახდებიან. ეს სამღვდელოება რეალიზდება ქრისტეს მიმდევრობაში სიტყვითა და საქმით. სამღვდელოებისგან, რომელსაც არ აქვს საკრამენტული უფლებამოსილება, განსხვავდება ის სამღვდელოება, რომელიც ღვთიური რჩეულების საფუძველზე სასულიერო თანამდებობას ეყრდნობა და ორდინაციის შედეგად გადაიცემა.“

რჩეულება ღვთის მიერ

მეხუთე სარწმუნოებრივ დებულებაში, რომელშიც ორდინაციაც არის განხილული, ნათქვამია: „მე მწამს, რომ ღვთისგან რჩეულთ სასულიერო თანამდებობისათვის მხოლოდ მოციქულები აკურთხებენ ხელდასხმით, რომ უფლებამოსილება, კურთხევა და მსახურებისათვის განწმედა მოციქულობიდან გამომდინარეობს“ (კატ. 2. 4. 5).“ ამ სარწმუნოებრივ დებულებასთან დაკავშირებულ დასკვნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წინამდებარე მოსაზრებებისათვის: „ღმერთია ის, ვინც კონკრეტულ პიროვნებას სასულიერო თანამდებობისთვის ირჩევს. აქედან გამომდინარე, სასულიერო თანამდებობა ადამიანური საქმე არ არის და, საბოლოო ჯამში, არც თემის, არამედ ღვთის მადლია მისი ეკლესიისათვის. სასულიერო თანამდებობას ადამიანი, ასე წერია სარწმუნოებრივ დებულებაში, ღვთიური ნების საფუძველზე ატარებს და არა ადამიანური გადაწყვეტილების შედეგად“ (კატ. 2. 4. 5). მაშასადამე, თავად ღმერთი ირჩევს ადამიანს სასულიერო თანამდებობისათვის. აქ ზოგადად ადამიანზეა ლაპარაკი - სქესის მითითებისგარეშე-,რომელსაცღმერთისასულიერო თანამდებობისათვის ირჩევს. მაშასადამე, შეიძლება, რომ ქალები და კაცები, ასე რომ ვთქვათ, ღმერთმა სასულიერო თანამდებობისათვის აირჩიოს.

კურთხევა და განწმედა

დავალება,შევიცნოთღვთისრჩეულიდასასულიერო თანამდებობაზე დავნიშნოთ იგი, მოციქულების მსახურებაში შედის. ქალებსაც და კაცებსაც ერთნაირად შეუძლიათ განიცადონ, რომ კურთხევა და განწმედა იმ მსახურებიდან მომდინარეობს, რომლისთვისაც ისინი არიან დანიშნულნი. ამასთან დაკავშირებით კატეხიზმო შენიშნავს: „კურთხევის’ შედეგად ხდება სულიწმიდის ღვთიური თანხლებისა და თანადგომის დაპირება მღვდლის ან დიაკვნის სასულიერო თანამდებობის აღსრულების დროს. ‘განწმედა’ იმაზე მიუთითებს, რომ ამ სასულიერო თანამდებობის მეშვეობით ღმერთს, მისი უწმინდესობითა და ხელშეუხებლობით, თავად სურს იმოქმედოს“ (კატ. 2. 4. 5). კურთხევა და განწმედა აუცილებელია, რათა ქალმაც და კაცმაც სწორად აღასრულონ მათზე დაკისრებული მსახურება.

თანამდებობრივი უფლებამოსილება

სასულიერო თანამდებობა, რომლისთვისაც ისინი აირჩიეს, „უფლებამოსილებით“ ხასიათდება. კატეხიზმო სამ თანამდებობრივ საფეხურზე ლაპარაკობს - მოციქული, მღვდელი, დიაკვანი -, თვითეულ მათგანს უფლებამოსილების სხვადასხვა დონე უკავშირდება. ქალებიც - როგორც კაცები - შეიძლება, რომ სასულიერო თანამდებობის ამ საფეხურებზე იქნენ ორდინირებულნი შესაბამისი უფლებამოსილებებით. „სასულიერო თანამდებობის ახალსამოციქულო გაგების“ დებულებებში განმარტებულია ყველა უფლებამოსილება, რომელიც სასულიერო თანამდებობის თვითეულ საფეხურს მიეკუთვნება. მოციქულის თანამდებობრივ უფლებამოსილებაში შედის სახარების სწორად უწყება და სამივე საიდუმლოს მინიჭება, ცოდვათა შენდობის უწყება იესო ქრისტეს სახელით, მღვდელმსახურთა ორდინირება და ყველა სახის ლოცვა-კურთხევა. მოციქულების უფლებამოსილებას სხვადასხვაგვარად იზიარებენ მღვდლები და დიაკვნები. ყველა მათგანს მოციქულები მიავლენენ და ისინი მათთან ერთობაში არიან.

მღვდლის თანამდებობრივ უფლებამოსილებაში შედის სახარების სწორად უწყება, ასევე წყლით წმიდა ნათლობის სწორად მინიჭება და წმიდა ზიარების ჩატარება. მღვდლებს მოციქულისა და იესო ქრისტეს სახელით ცოდვათა მიტევების უწყების უფლებაც აქვთ. მათ ღვთისმსახურებების ჩატარებისა და ლოცვა-კურთხევის მინიჭების უფლებამოსილებაც გააჩნიათ. დიაკვნის თანამდებობრივ უფლებამოსილებაში შედის სიტყვის სწორად უწყება, პარაკლისის წარმართვა - სამერთი ღმერთის სახელით შესავალი ლოცვით, ასევე ღვთისმსახურების ბოლოს ტრინიტარული კურთხევის მოფენა.

ქალებსა და მამაკაცებს შეუძლიათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისინი ღმერთმა აირჩია მსახურებისთვის. მოციქულებმა ორივეს შეიძლება მიანიჭონ უფლებამოსილება, რომელიც ადამიანთა ხსნასა და თემის კეთილდღეობას ემსახურება. გარდა ამისა, ნარკვევში „სასულიერო თანამდებობის ახალსამოციქულო გაგება“ ხაზგასმულია შემდეგი: „ორდინაციისათვის მღვდელმსახურის არჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ის ფაქტი, რომ ის იმ კომპეტენციებს უნდა ფლობდეს, რომლებიც შესაბამის თანამდებობასთან დაკავშირებული მსახურებისათვის არის საჭირო.“ ორდინაციამდე ქალებმაც და კაცებმაც უნდა აღიარონ „ახალსამოციქულო ეკლესიის ათი სარწმუნოებრივი დებულების შინაარსი“ და სათანადოდ წარმოადგინონ მოციქულთა მოძღვრება იმ სახით, როგორც ის ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოშია მოცემული.

თანამდებობრივი დავალება

სასულიერო თანამდებობა თვითმიზანი არ არის, ის არც ვინმეს დაჯილდოვებას ემსახურება და არც

ვინმეს წარმოჩინებას. სასულიერო თანამდებობაზე ორდინაცია ყოველთვის თემის მოთხოვნილებების და ეკლესიის საჭიროებების მიხედვით ხორციელდება. გარდა ამისა, სასულიერო თანამდებობაზე ქალების ორდინაციის დროს იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, თუ რამდენად მისაღებია ეს არსებული საზოგადოებისათვის. და კიდევ, როგორც მამაკაცების შემთხვევაში, ქალებთანაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებულ მათი პირადი სიტუაცია. სასულიერო თანამდებობა ქრისტეს სამსახურში დგას, ამ მსახურების აღსრულება ხდება ადგილობრივ თემში, მხარეში და სამხ. ეკლესიაში. ქალები, რომლებმაც სასულიერო თანამდებობა მიიღეს, თემში არსებულ დავალებებს ასრულებენ. გარდა ამისა, ისინი შეიძლება თემში, მხარეში და სამხ. ეკლესიაში სახელმძღვანელო ფუნქციების შესასრულებლად იქნან მოწოდებულნი ან დანიშნულნი. მღვდელმსახურთა მოწოდებასა და დანიშვნასთან დაკავშირებული დებულებები, რომლებიც „სასულიერო თანამდებობის ახალსამოციქულო გაგებაში“ გვხვდება - თავები: 6. 2. 2 („დავალების მიცემა“) და 6. 2. 3 (დანიშვნა“) -, ქალებსაც ეხება.

> დასკვნა: მოციქულებმა - პირველმოციქულთან ერთობაში - მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სქესთა თანასწორობისა და თანაბარი ღირსების საფუძველზე ქალებსაც შეიძლება მიენიჭოთ თანამდებობრივი უფლებამოსილება. ქალები ასევე შეიძლება მოწოდებულ იქნან სახელმძღვანელო ფუნქციების შესასრულებლად თემში, მხარეში და სამხ. ეკლესიაში ან დაინიშნონ სასულიერო თანამდებობასთან დაკავშირებული მსახურების აღსასრულებლად. თანამდებობრივი დავალების მიცემა ქალებისათვის მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც ეს თემისათვის არის მისაღები და, სადაც საზოგადოებრივი კონსესუსი და კანონმდებლობა ამის ნებას იძლევა.

მითითებები ქალთა ორდინაციის შემოღებასთან დაკავშირებით

2022 წლის ივნისის სამხ. მოციქულთა კრებამ გააკეთა ახსნა-განმარტება, რომლის შესრულებაც სავალდებულოა: „ღმერთის წინაშე სქესთა თანასწორობისა და თანაბარი ღირსების საფუძველზე ქალებსაც შეიძლება მიენიჭოთ თანამდებობრივი უფლებამოსილება და მიეცეთ თანამდებობრივი დავალება.“ გარდა ამისა, გადაწყდა, რომ ქალთა ორდინაცია 2023 წლის 1. იანვრიდან იქნება შესაძლებელი.

არჩევა სასულიერო თანამდებობაზე

ქალსაც და კაცსაც თანაბრად ეხება ის, რომ სასულიერო თანამდებობას ისინი ატარებენ „ღვთის ნების საფუძველზე [...] და არა ადამიანური გადაწყვეტილების შედეგად“, ვინაიდან თავად ღმერთი ირჩევს ადამიანს სასულიერო თანამდებობისათვის. „სასულიერო თანამდებობა, ერთი მხრივ, ღვთისადმი მსახურებაა, მეორე მხრივ კი - ადამიანისადმი მსახურება.“ თუ დავფიქრდებით ამაზე, ვნახავთ, რომ კვოტების სისტემა, როგორც სასულიერო თანამდებობაზე არჩევის კრიტერიუმი, თავისთავად გამოირიცხება.

მართალია, ქალებისა და კაცების ორდინაციის ძირითადი წინაპირობა ღვთიური მოწოდებაა, მაგრამ დაგეგმილი ორდინაციის დროს ყოველთვის თემის, მხარისა და სამხ. ეკლესიის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გათვალისწინება ხდება.

ასევე განიხილება კომპეტენციები, „რომლებიც შესაბამის სასულიერო თანამდებობასთან დაკავშირებული მსახურებისათვის არის აუცილებელი.“ ორდინაციის შედეგად „ხდება იმ ნიჭების გამოღვიძება და კურთხევა [...[, რომლებიც მოცემული სასულიერო თანამდებობის აღსრულებას სჭირდება“ (კატ. 7. 7). ეს კი იმას ნიშნავს, რომ „კარგი უნარები და თვისებები, რომელსაც კონკრეტული პიროვნება ფლობს, [...] ორდინაციის აქტის დროს სასულიერო თანამდებობის აღსრულების სამსახურში დგება.“ „ქალები და კაცები თავიანთ ნიჭს, სპეციფიკურ უნარებსა და პოზიტიურ ხასიათს სასულიერო თანამდებობის აღსრულებას ანდომებენ და თემის საკეთილდღეოდ იყენებენ.“

სასულიერო თანამდებობასთან დაკავშირებული ვალდებულებანი

სასულიერო თანამდებობისთვის მოწოდებულნი პირობას დებენ, რომ სათანადოდ შეისწავლიან წმიდა წერილის მოწმობას, როგორც ის „ათ სარწმუნოებრივ დებულებაში“ და „ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოშია“ მოცემული. თავიანთ მსახურებას კი იმ პრინციპების მიხედვით წარმართავენ, რომლებიც გადმოცემულია „ძირითად მიმართულებებში მღვდელმსახურთთვის“. კაცებსაც და ქალებსაც ეხება ის, „რომ სასულიერო თანამდებობა და პიროვნება, სასულიერო თანამდებობის წარმართვა და პიროვნული ნიჭი ერთმანეთშია გადახლართული.“ ამასთანავე მღვდელმსახურებს, კაცებსაც და ქალებსაც, კარგად უნდა ესმოდეთ, რომ სასულიერო თანამდებობის უფალი თვითონ კი არ არიან, არამედ იესო ქრისტეა: „სასულიერო თანამდებობა პიროვნების მფლობელობაში არ

ფოტო: გაიუსი - stock.adobe.com

გადადის, ის არც წარუშლელად აღიბეჭდება პიროვნებაზე, არამედ არის და იქნება ქრისტეს მადლი, რომელსაც იესო ქრისტე ფლობს და, რომელსაც ან ანიჭებს ან არა."

ღმერთისა და ადამიანებისათვის მსახურების რეალურად აღსასრულებლად მნიშვნელოვანია, რომ მღვდელმსახურებმა, ქალებმაც და კაცებმაც, თავიანთი თანამდებობა სერიოზულად მიიღონ. ამას ისინი იმ ცოდნისა და უნარების შეძენით გამოხატავენ, რაც სასულიერო თანამდებობის სათანადო აღსრულებისათვის არის აუცილებელი. მაშასადამე, ისინი ეკლესიის მიერ შემოთავაზებული სასულიერო და თეოლოგიური განათლებით სარგებლობენ.

ჩამოყალიბება სასულიერო თანამდებობის შესაბამისად

ორდინაციით კაცები და ქალები თანამდებობრივ უფლებამოსილებასთან ერთად კონკრეტულ თანამდებობრივ დავალებასაც იღებენ, იმუშაონ თემში, მხარეში ან სამხ. ეკლესიაში. ქალების ხელდასხმით კურთხევა დიაკვნად, მღვდლად და მოციქულად შესაძლებელია. გარდა ამისა, კაცების მსგავსად, ქალებიც შეიძლება იქნან მოწოდებულნი ან დანიშნულნი თემში, მხარეში ან მთლიანად ეკლესიაში სახელმძღვანელო ფუნქციების შესასრულებლად.

თუკი თანამდებობრივი დავალება კაცებსაც და ქალებსაც თანაბრად ეხება, მაშინ თანამდებობის აღსრულების, პენსიაში გასვლის, შვებულებაში გაშვების, თანამდებობობიდან გადადგომისა და თანამდებობიდან გადაყენების შესაბამისი დებულებებიც ერთნაირად ვრცელდება მათზე. გარკვეული წინაპირობების გამო მღვდელმსახური შეიძლება გაშვებულ იქნას შვებულებაში და დროებით შეწყვიტოს თანამდებობის აღსრულება. „ძირითადი მიმართულებები მღვდელმსახურთათვის" მიუთითებს იმაზე, რომ მღვდელმსახური შვებულებაში პირადი, პროფესიული ან ჯანმრთელობით გამოწვეული მიზეზის გამო შეიძლება იქნას გაშვებული. ქალი მღვდელმსახურის ამგვარი შვებულების მიზეზი ფეხმძიმობა შეიძლება იყოს. შვებულების ვადამ სამ წელს არ უნდა გადააჭარბოს.

სამხ. მოციქულთა კრებამ მღვდელმსახურების, კაცისა და ქალის, ტანისამოსზეც იმუშავა და შემდეგ დასკვნამდე მივიდა: ღვთისმსახურებაზე ორივე სქესის მღვდელმსახურებმა შავ/თეთრი სამოსი უნდა ატაროს. სიტუაციის მიხედვით ტანსაცმელი მოკრძალებული უნდა იყოს. შესაბამისად გათვალისწინებულ უნდა იქნას რეგიონალური პირობებიც.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

პროგრამა

01.10.2023 წ.	აუგსბურგი (გერმანია)
08 10.2023 წ.	მოსკოვი (რუსეთი)
13.10.2023 წ.	მონტეკარლო (არგენტინა)
15.10.2023 წ.	ბუენოს-აირესი (არგენტინა)
22.10.2023 წ.	მეცი (საფრაგეთი)
29.10.2023 წ.	პადერბორნი (გერმანია)
04.11.2023 წ.	ალდელა დოს პალეირუს (პორტუგალია)
05.11.2023 წ.	პორტიმეო (პორტუგალია)
10.11.2023 წ.	დაკა (ბანგლადეში)
12.11.2023 წ.	პუნე (ინდოეთი)
14.11.2023 წ.	ჯაგდალპური (ინდოეთი)
26.11.2023 წ.	ციურიხ-ჰოტინგენი (შვეიცარია)
07.12.2023 წ.	მოკუბა (მოზამბიკი)
10.12.2023 წ.	იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა)
17.12.2023 წ.	სამხრეთ მაგდებურგი (გერმანია)
25.12.2023 წ.	სტრასბუგი (საფრანგეთი)
31.12.2023 წ.	თიუბინგენი (გერმანია)

New Apostolic Church
International